

თემატური ჯგუფი - ხარისხის მართვა პროფესიულ განათლებაში
ანგარიში

2011-2012 წლები

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

1. აქტივობის დასახელება

თემატური ჯგუფის (ხარისხის მართვა პროფესიულ განათლებაში) საქმიანობა.

2. პერიოდი/თარიღი

იანვარი 2011 - აპრილი 2012

3. ჯგუფის ხელმძღვანელი/ფასილიტატორი დაწესებულება

მარინა ჟვანია/განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

4. მაკოორდინირებელი ორგანოები

ეროვნული პროფესიული საბჭო/განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

5. ჯგუფის საქმიანობაში მონაწილეები

დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები, პროფესიული კავშირები, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული და ინკლუზიური განათლების განვითარების დეპარტამენტი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

6. აქტივობის მიზანი

თემატური სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბებითა და ეროვნულ პროფესიულ საბჭოსთან მისი საქმიანობის კოორდინაციით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების ხარისხის განვითარების მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობას, ჯგუფის ფუნქციონირების სპეციფიური მიზანია VET SPSP პროგრამის განხორციელების მონიტორინგი.

7. აქტივობის შედეგი/შედეგები

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების ხარისხის განვითარების მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობას, ხარისხის მართვის თემატური ჯგუფი შექმნილია ეროვნული პროფესიული საბჭოს ფორმატში. 2011-2012 წლებში ჯგუფის ფუნქციონირების შედეგად:

- შემუშავდა და სარეკომენდაციოდ მომზადდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დიზაინის ფორმა და ჩატარდა ტრენინგები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების საკითხებზე;
- ავტორიზებულ საჯარო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს მიენიჭათ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების 2011 წლის თვითშეფასების ანალიზის საფუძველზე მომზადდა რეკომენდაციები, რომელიც მიეწოდა ეროვნულ პროფესიულ საბჭოს;

- განხილულ იქნა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა სწავლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში საპილოტე პროექტი: ახალი გზები პროფესიულ განათლებაში;
- განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება-მოთხოვნის ანალიზი;
- ჩატარდა სახელმწიფო პროფესიული და საზოგადოებრივი კოლეჯების მენეჯერებისა და შიდა შემფასებლებისათვის ხარისხის მართვაზე ტრენინგი
- მომზადდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების არსებული პოლიტიკის ანალიზი;
- განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურებზე ტრენინგი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შესაძლებლობების შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით განხორციელდა შეხვედრები და დაიგეგმა და განხორციელდა სხვა სახის საინფორმაციო ღონისძიებები.

ხორციელდებოდა თემატური ჯგუფის მიერ აღნიშნულ საკითხებზე მომზადებული წინადადებებისა და რეკომენდაციების წარდგენა ეროვნულ პროფესიულ საბჭოზე განსახილველად.

აქტივობის დეტალური აღწერა

1. მონაწილეები

ჯგუფში 19 წევრია (დანართი - თემატური ჯგუფის შემადგენლობა).

2. აქტივობის ფასილიტატორები/კოორდინატორები

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული და ინკლუზიური განათლების განვითარების დეპარტამენტი/ეროვნული პროფესიული საბჭო.

3. აქტივობის შინაარსისა და ძირითადი საკითხების აღწერა

პროფესიული განათლების ხარისხისა და კვალიფიკაციის სისტემის განვითარების მიზნით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2010 წლიდან ფუნქციონირებს თემატური სამუშაო ჯგუფები და დარგობრივი კომიტეტები დამსაქმებლების, პროფესიული გაერთიანებების (ასოციაციები, კავშირები და სხვ.), სახელმწიფო მმართველობითი ორგანოების წარმომადგენლების, უმაღლესი საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მონაწილეობით. იანვარი 2011 - აპრილი 2012 პერიოდში ჩატარდა თემატური ჯგუფის - ხარისხის განვითარება პროფესიულ განათლებაში 12 სხდომა. სხდომებზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სარეკომენდაციო ფორმის განხილვა;
- ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების 2011 წლის თვითშეფასების ანალიზის საფუძველზე მომზადებული რეკომენდაციების განხილვა;
- ETF-ის პროექტისათვის "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება საქართველოში" მოსალოდნელი მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგების განხილვა
- განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა სწავლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში საპილოტე პროექტი: ახალი გზები პროფესიულ განათლებაში - განხილვა;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ 2011 წლის თვითშეფასების ანგარიშით წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზი და საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ამ პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება-მოთხოვნის ანალიზი;
- სახელმწიფო პროფესიული და საზოგადოებრივი კოლეჯების მენეჯერებისა და შიდა შემფასებლებისათვის ხარისხის მართვაზე ჩასატარებელი ტრენინგის პროგრამისა და ტრენინგის ანგარიშის განხილვა;
- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის მართვის პროცედურების შესასწავლი კითხვარის განხილვა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის შედეგების განხილვა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების არსებული პოლიტიკის ანალიზი;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის არაფორმალური განათლების აღიარებაზე ჩასატარებელი ტრენინგის პროგრამისა და ჩატარებული ტრენინგის შედეგების/ანგარიშის განხილვა;
- სტუდენტებისა და პოტენციური სტუდენტებისათვის სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურზე გადასვლის შესაძლებლობების შესწავლის მიზნით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილების მოსმენა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შესაძლებლობების შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების გეგმისა და მისი განხორციელების შედეგების განხილვა.

4. მიზნის მიღწევის ხარისხი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებისა და მათი განხორციელების ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვა და მონიტორინგი, ასევე სრულყოფა მიმდინარეობდა ამ პროცესებში თემატური ჯგუფის აქტიური მონაწილეობით. ჯგუფის უშუალო კოორდინაციით ხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისა (ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული, უმაღლესი) და მომხმარებლების ინფორმირებულობის გაზრდას. ეროვნულ პროფესიულ საბჭოს სისტემატურად მიეწოდება თემატური სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული წინადადებები და რეკომენდაციები.

5. ამოცანებისა და მიზნების მიღწევის ხელშეწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები

თემატური ჯგუფის წარმატებულ მუშაობას ხელი შეუწყო ჯგუფის წევრების აქტივობამ და განსახილველი საკითხებისადმი პასუხისმგებლობით დამოკიდებულებამ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ეროვნულ პროფესიულ საბჭოსთან სწორმა კოორდინაციამ. ჯგუფის შემადგენლობაში 2012 წლიდან გარკვეული ცვლილებები განხორციელდა.

6. აქტივობის საერთო შეფასება და რეკომენდაციები

თემატური ჯგუფის საქმიანობის შედეგები სრულად შეესაბამება დასახულ მიზნებს. ამავე დროს სასურველია მიღწეულ იქნას თემატური ჯგუფის მუშაობაში ჩართული დაინტერესებული მხარეების წარმომადგენელთა მაქსიმალური აქტივობა და მათი მხრიდან საკითხების ინიცირება.

რეკომენდაციები:

- სასურველია მიღწეულ იქნას თემატური ჯგუფების მუშაობაში დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლების მაქსიმალური აქტივობა;
- ხარისხის მართვის თემატური ჯგუფის სხდომები ჩატარდეს თვეში ერთხელ;
- ყოველი სხდომის შემდეგ მოხდეს წინადადებებისა და რეკომენდაციების მიწოდება ეროვნული პროფესიული საბჭოსათვის.

დანართები:

1. თემატური ჯგუფის წევრთა სია.

თემატური ჯგუფის შემადგენლობა

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია	თანამდებობა
1.	მარინა ჟვანია	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსი
2.	ლალი შაიშმელაშვილი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსის მოადგილე
3.	ნანი დალაქიშვილი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის სპეციალისტი
4.	მაკა კორძაძე	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის სპეციალისტი
5.	ნინო კოპალეიშვილი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	სტრატეგიული განვითარების სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი
6.	კოტე ჩოკორაია	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი
7.	თეა კვინტრაძე	სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	დირექტორის მოადგილე
8.	ლალი ებანოძე	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	პროფესიული და ინკლუზიური განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი
9.	ანა მჭედლიშვილი	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	პროფესიული და ინკლუზიური განათლების განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი
10.	ანი ქიტიაშვილი	ETF	ეროვნული კოორდინატორი
11.	მაია ჩიხლაძე	შპს საზოგადოებრივი კოლეჯი "პანაცეა"	დირექტორის მოადგილე
12.	ლალი ლოღელიანი	სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სამშენებლო დეპარტამენტის უფროსი, პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე

13.	მათე ტაკიძე	სსიპ პროფესიული კოლეჯი „იკაროსი“	დირექტორი
14.	ნონა ლუდუშაური	სსიპ პროფესიული კოლეჯი „პროფესიონალი“	დირექტორი
15.	გაიანე სიმონია	სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	სამედიცინო განათლების კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი
16.	ნინო ჟვანია	სსიპ ილიას უნივერსიტეტი	ხარისხის სამსახურის უფროსი
17.	აბდულ კახიძე	სსიპ ბათუმის საზღვაო აკადემია	ხარისხის სამსახურის უფროსი
18.	ნუგზარ ჭინჭარაული	საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირი	თავმჯდომარე
19.	თამარ ვეფხვაძე	სსიპ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი	ხარისხის სამსახურის უფროსი